სს "ხალიკ ბანკი საქართველო"
საქართველო, თბილისი, 0160,
შარტავას ქ.40.
ტელ: +995 /32 / 224 07 07
info@hbg.ge, www.halykbank.ge

ხალიკ ბანკი საქართველო
HALYK BANK
HALYK BANK GEORGIA

JSC "Halyk Bank Georgia"
Georgia, Tbilisi, 0160,
40 Shartava str.
Tel: +995 / 32 / 224 07 07
info@hbg.ge, www.halykbank.ge

31.07.2019 № 09/099

№ _____ _____

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
თბილისის არქიტექტურის სამსახურს
და
შპს ,,კენ ვოლკერის სახელობის სამედიცინო რეაბილიტაციის
საუნივერსიტეტო კლინიკა"-ს (ს/კ 405126858)

წინამდებარე წერილით, სს "ხალიკ ბანკი საქართველო" (ს/კ 205236537), როგორც იპოთეკარი თანხმობას აცხადებს, რომ უძრავ ქონებაზე, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონი, გუდამაყრის ქ. N4 (საკადასტრო კოდი №01.12.07.005.023) განხორციელდეს შეთანხმებული პროექტის ცვლილება/კორექტირება, შესაბამისად აღებულ იქნას ახალი მშენებლობის ნებართვა და მშენებლობა განხორციელდეს კორექტირებული პროექტის მიხედვით, ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურში წარდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად.

აღნიშნულზე ბანკი თანხმობას აცხადებს იმ პირობით, რომ სრულად და შეუზღუდავად იქნება შენარჩუნებული და გავრცელებული ზემოაღნიშნულ უძრავ ქონებაზე სს ,,ხალიკ ბანკი საქართველოს" (ს/კ #205236537), სასარგებლოდ რეგისტრირებული იპოთეკის უფლება.

პატივისცემით,
სს „ხალიკ ბანკი საქართველოს"
გენერალური დირექტორის მოადგილე
თამარ გოდერძიშვილი

სს "ხალიკ ბანკი საქართველო" * JSC "HALYK BANK GEORGIA" * 205236537 * АО "ХАЛЫК БАНК ГРУЗИЯ"

№ 0842231 ბლანკი სერიული ნომრის გარეშე ბათილია

შპს კენ ვოლკერის სახელობის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკის
(ს/კ # 405126858)
პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილება

ქ. თბილისი 31 ივლისი 2019

კრებას ესწრებოდნენ შპს „კენ ვოლკერის სახელობის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკის“ (ს/ნ 405126858) დამფუძნებლები: შპს „მეგაპოლის ისთ“ (ს/ნ 405258000) წარმოდგენილი მისი დირექტორის, ნელი გაგნიძის (პ/ნ 01006008918) - კომპანიის 55% წილის მფლობელი; თამარი ზარნაძე (პ/ნ 01017057077) - კომპანიის 30% წილის მფლობელი და ვახტანგ გენგიურის (პ/ნ 01024027610) კომპანიის 15% წილის მმართველი თამარი ზარნაძე (პ/ნ 01017057077).

კრებას ესწრება საზოგადოების ყველა დამფუძნებელი პარტნიორი.

კრებაზე განსახილველი საკითხები:
დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით:

- კომპანიის საფირმო სახელწოდების ცვლილება

განხილვის შედეგად ერთხმად (ერთობლივად) და შესაბამისად ხმათა 100%-ით

გადაწყვიტა :

კომპანიის საფირმო სახელწოდება ქართულ ენაზე: **შპს „კენ ვოლკერის სახელობის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკა”** და ინგლისურ ენაზე: **LLC “Ken Walker University Clinic For Medical Rehabilitation”** შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

ქართულ ენაზე: **შპს „რეალმედი“**
ინგლისურ ენაზე: **შპს „RealMed”**

პარტნიორების ხელმოწერა:

შპს „მეგაპოლის ისთ“ (ს/ნ 405258000) ---

თამარი ზარნაძე (პ/ნ 01017057077) ---

ვახტანგ გენგიურის წილის მმართველი

თამარი ზარნაძე (პ/ნ 01024027610) ---

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N190902006
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	31.07.2019 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ნინო ხოფერია
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. 28/2
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	+995 32 2 98 70 24
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	51917507244219

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: **www.notary.ge** ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: **+995(32) 2 66 19 18**

საქართველო

ორიათას ცხრამეტი წლის **ოცდათერთმეტ ივლისს,** მე, ნოტარიუსი ნინო ხოფერია, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: თბილისი, რუსთაველის გამზ. 28/2, ვამოწმებ **თამარი ზარნაძის** (დაბ. 16.04.1998წ., რეგ. მისამართზე: ქალაქი თბილისი, სოფიკო ჭიაურელის ქუჩა, N 16, პირადი №01017057077) და **ნელი გაგნიძის** (დაბ. 10.08.1981წ., რეგ. მისამართზე: **ქალაქი თბილისი, პეტრე ქავთარაძის ქუჩა, N 32, ბინა 7,** პირადი №01006008918, პასპორტი 18AB83235) **ხელმოწერათა ნამდვილობას.** ხელმოწერა შესრულებულია მათ მიერ ნოტარიუსის თანდასწრებით. ხელმომწერებს განემარტათ, რომ ხელისმოწერით დოკუმენტის შინაარსი არ მოწმდება, რაზედაც მათ განაცხადეს თანხმობა. დოკუმენტზე ხელმომწერთა პირადობა დადგენილია, ქმედუნარიანობა შემოწმებულია. დოკუმენტი წარმოდგენილია ერთ ეგზემპლარად.

სულ დამოწმებულია 2 ხელმოწერა

სანოტარო საზღაური - 4,00 (ოთხი) ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ 2011წ. 29.12. #507 მთავრობის დადგენილების მუხლი 31, აგრეთვე დღგ თანახმად საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, 2 (ორი) ლარი დღგ-ს ჩათვლით, სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ 20-ე პ.3.1 მუხლის შესაბამისად, სულ 6,72 (ექვსი ლარი და სამოცდათორმეტი თეთრი) ლარი.

ნოტარიუსი: /ნინო ხოფერია/

ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. #28/2